„ქართულმა ოცნებამ“ ოზურგეთის მაჟორიტარ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დავით მდინარაძე წარადგინა

ალიონი. 10 აპრილს, „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ოფისის წინ, ოზურგეთის ყველაზე დიდ №3 საარჩევნო ოლქში, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დავით მდინარაძე წა-რადგინეს.

„ვიწყებთ წინასაარჩევნო კამპანიას ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სამაჟორიტარო ოლქში. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არჩევნებში წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელსაც თითოეული ოზურგეთელი კარგად იცნობს. დავით მდინარაძეს აქვს განსაკუთრებული პროფესია, რითაც ის ძალიან ბევრი ოჯახის მეგობარია, დარწმუნებული ვართ რომ თითოეული თქვენგანის გვერდში დგომით ჩვენ ავირჩევთ ღირსეულ დეპუტატს. - განაცხადა პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ **მერაბ ჭანუყვაძემ.**

სიტყვით გამოვიდა გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** რომლის შემდეგ ამომრჩევლებს სიტყვით თავად დეპუტატობის კანდიდატმა **დავით მდინარაძემ** მიმართა.

კობა ზაქარეიშვილი ამომრჩეველს გიგი უგულავამ წარუდგინა

ალიონი. „ევროპულმა საქართველომ“ ქ. ოზურგეთის მესამე მაჟორიტარულ ოლქში (ანასეული-ექადია-სერი) საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატად **კობა ზაქარეიშვილი** წარადგინა. ზაქარეიშვილი ანასეულელ ამომრჩევლებს პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიგი უგულავამ პირადად გააცნო. შეხვედრა ე.წ. აჭარის დასახლებაში შედგა. დეპუტატობის კანდიდატმა ამომრჩეველს დაპირდა, რომ იქნება მათი ხმა საკრებულოში და ექნება მუდმივი კომუნიკაცია თითოეულ მათგანთან.

გიგი უგულავამ ყველაზე ბევრი ბიძინა ივანიშვილზე და „ოცნების“ ხელისუფლებაზე ისაუბრა: „ივანიშვილი გვეუბნება, ყველაფერი კარგადაა, თქვენ ტყეილად წუწუნებთო. მან გადაწყვიტა, ყველაფერი იყიდოს“, - განაცხადა მან და დასძინა, რომ დროა, ხელისუფლება შეიცვალოს.

გიგი უგულავა: „არც ერთი მმართველი ორ ვადაზე მეტი ქვეყნის სათავეში არ ყოფილა. მაქსიმუმ 8-10 წელიწადი ვეუბნებით, აჰა მანდატი და გააკეთე თუ რამის გამკეთებელი ხარ. ეს ვადა ივანიშვილს უკვე ეწურება. 2002 წელს ვინმეს რომ ეთქვა, შევარდნაძე აღარ იქნებაო, ვიტყოდით,

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 15 (10309) 15 აპრილი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

ასოციაციის წევრ ფერმერებს შესაწამლი აპარატები გადაეცათ

ფაროსანასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, გურიაში მეთხილე ფერმერებს შესაწამლი აპარატები დაურიგდათ. აპარატები თხილის მწარმოებელთა ასოციაციას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „თხილის გადარჩენის პროგრამის“ ფარგლებში გადასცა. პროგრამის ფარგლებში სულ 2000 აპარატის გადაცემა დაგეგმილი.

მეთხილე ფერმერებმა მიიღეს ინფორმაცია აპარატის გამოყენებისა და თხილის შეწამვლის მეთოდების შესახებ. თხილის მოსავლის გადარჩენის კამპანია გადამწყვეტ ეტაპზე გადადის და მიზნად ისახავს თხილში გავრცელებულ სოკოვან დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლას, ფერმერების ცნობიერების ამაღლებას, რაც ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის მოსავლის მიღებას. „თხილის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში, სახელმწიფოს და ასოციაციის მონაწილეობით შემუშავებულია კომპლექსური ღონისძიებების გეგმა, რომელიც მეთხილე ფერმერებს საშუალებას მისცემს, მავნებლების და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ აგროსამუშაოები დროულად და ეფექტიანად ჩაატარონ, რათა თავიდან აიცილონ თხილის მოსავლის დაზიანება და ეკონომიკური ზარალი.

შესაწამლი აპარატების გადაცემას ესწრებოდნენ გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები აკაკი შენგელია, ქეთევან მოისწრაფეშვილი, გია ებრალიძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეები გიორგი იაკობაშვილი, ზურაბ ლიპარტია და თხილის მწარმოებელთა ასოციაციის დირექტორი გიორგი თოდუა.

თხილის მწარმოებელთა ასოციაცია ფერმერების უმსხვილესი გაერთიანებაა. ამჟამად „თხილის გადარჩენის პროგრამაში“ უკვე 15 000-მდე ფერმერია ჩართული. ჯგუფებად დაყოფილ ფერმერებს ჰყავთ საკუთარი ლიდერები, რომლებიც პროცესს ზედამხედველობას გაუწევენ. გარდა აპარატებით უზრუნველყოფისა, თხილის მოსავლის გადარჩენის პროექტის ფარგლებში, ფერმერებს საშუალება აქვთ, შეღავათიანი პირობებით შეიძინონ სასუქი პრეპარატები და პესტიციდები. ასოციაციის აგრონომები ზედამხედველობას გაუწევენ აგროღონისძიებების ხარისხიანად ჩატარებას, რაც მაღალი ხარისხის თხილის მოსავლის მიღების წინაპირობაა.

იყო თუ არა ეს საბავშვო ბაღებში საეჭვო ხორცის შეტანის მორიგი მცდელობა

წითელი ბარათი „სოფოს“, მწვანე შუქი „მახოხიას“

ალიონი. 10 აპრილს გაზეთ „ალიონის“ რედაქციას აცნობეს, რომ შპს „სოფომ“, რომელიც ტენდერში გამარჯვებულია და ოზურგეთის ბაღების გაერთიანებას ხორცით და ხორცპროდუქტებით ამარაგებს, თითქოს ოზურგეთის ბაღების გაერთიანებაში 165 კილოგრამი საკვებად უვარგისი ძროხის ხორცი და 207 კილოგრამი ქათმის ფილე შეიტანა.

წყაროს ცნობით, აღნიშნულმა შპს-მ სოფელ დვაბზუს სასაკლაოდან ვეტერინარის მიერ დამოწმებული საკვებად ვარგისიანი ხორცი გზაში შეცვალა და ბაღებში საკვებად უვარგისი ხორცი შეიტანა, რაზეც სწრაფი რეაგირება გააკეთა ოზურგეთის ბაღების გაერთიანებამ, უვარგისი ხორცი განადგურდა, ხოლო მომხდარზე პოლიციაში მოკვლევა მიმდინარეობს.

ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, მაშინვე დავურეკეთ ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელს მაკა ჭყონიას. ზარზე ცენტრის ერთ-ერთმა თანამშომელმა გვიპასუხა, რომ ქალბატონ მაკას ტელეფონი სამსახურში დარჩა და თვითონ ბათუმში იმყოფებოდა. დავუკავშირდით ჭყონიას მოადგილე თამუნა თავზარაშვილს, რომელმაც გვითხრა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევაში მოჰყვა და ვერ მოგვცემდა კომენტარს...

დავრეკეთ სურსათის უვნებლობის სააგენტოს პრესსამსახურის უფროს თეა მშველიძესთან, რომელმაც სატელეფონო საუბარში დაგვიდასტურა ხორცის ამოღებისა და გასანადგურებლად გადაცემის ფაქტი.

ბოლოს, წყაროს მიერ მოწოდებულ და სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციებზე დაყრდნობით, ოპერატიულად დავდეთ ნიუსი, რომელშიც, სამწუხაროდ, არის უზუსტობა, კერძოდ, ის, რომ საკვებად უვარგისი ხორცი ამოიღეს ბაღების გაერთიანებიდან. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, საბავშვო ბაღებში ეს ხორცი საერთოდ არ შესულა.

უვარგისი ხორცის ამოღებისა და დალუქვის ადგილი მხოლოდ სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მასალის გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი.

საკითხში სიცხადის შეტანის მიზნით გთავაზობთ სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ინფორმაციას, დაპირისპირებული მხარეების – ბაღების გაერთიანებისა შპს „სოფოს“ პასუხისმგებელი პირების კომენტარებს, ასევე სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამსახურის უფროსის ნინო შეფიერულის კომენტარს.

სურსათის ეროვნული სააგენტო: „ბაღების მომმარაგებელ კომპანიას საფარმოო პროცესი შეუჩერდა

სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონულმა სამმართველომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრიდან, მიღებული შეტ-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მოწამეობრივად თავი შესწირეს საქართველოს დამოუკიდებლობას“

ალიონი. 9 აპრილს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში, 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნინო თოიძის საფლავთან დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

ნინო თოიძის საფლავზე მივიდა გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** რომელმაც გაზეთ „ალიონს“ 9 აპრილის მოვლენებზე ესაუბრა:

–„9 აპრილი საქართველოს უახლოესი ისტორიის ძალიან მძიმე დღე, მაგრამ იმავდროულად მდიდარი დღეა.ამ დღეს ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა ერი გამთლიანდა და ზუსტად 9 აპრილის შემდეგ მიეცა მსვლ-ელობა იმ მოვლენებს, რომელსაც თავისუფლებისთვის ბრძოლა ჰქვია. ქართველმა ხალხმა 2 წლისთავზე ჩაატარა რეფერენდუმი და მიიღო და-მოუკიდებლობის აქტი, რომელიც დღევანდელი საქართველოს ფუნდამენტური აქტია და მივდით იქამდე, რომ ვართ დამოუკიდებელი სახელ-მწიფო.

9 აპრილის ტრაგედია რომ მოხდა, მე დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ვიყავი. კარგად მახსოვს საზოგადოების, მეზობლური წრის, სკოლის პედაგოგების საპროტესტო მუხტი, თუ რამდენად მძიმე იყო ეს დღე ქართველი ერისთვის და ყველა ადამიანი ბავშვი თუ დიდი როგორ განიცდიდა ამ ტრაგედიას.

მახსოვს ისიც, რომ იმ პერიოდში ჩემი ოჯახის წევრები ამოვედით ნინო თოიძის საფლავზე და პატივი მივაგეთ მის ხსოვნას. მაშინ აქ ძალიან ბევრი ადამიანი იყო. დღესაც ბევრი ადამიანი მოვიდა. ჩვენ და ჩვენმა მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მოწამეობრივად თავი შესწირეს საქართველოს დამოუკიდებლობას“ –თქვა ზურაბ ნასარაიამ.

კობა ზაქარეიშვილი ამომრჩეველს გიგი უგულავამ წარუდგინა

რანაირად აღარ იქნება, ამდენი წელია ვუყურებთო, მაგრამ გაქრა შარშანდელი თოვლივით. ახლანდელი მთავრობაც იგივე ფოცხზე აბიჯებს ფეხს. არაფერი არ არის ამ ქვეყანაში შეუძლებელი. ორი ვადით აგირჩიეთ, ახლა, ადექით და წადით, თუ არ წახვალთ, პანლურით გაგაგდებთ. ივანიშვილის ბოლო ჟამი დადგა. არ უნდა ვთქვათ რომ არჩევნებით ვერ მოვუგებთ. მაგას ამბობდნენ შევარდნაძეზეც, მიშაზეც, მაგრამ ან არჩევნებით წავიდნენ ან არჩევნების მერე არჩევნების გაყალბებისთვის“.

„ევროპული საქართველოს“ ლიდერმა შეკრებილ მოსახლეობას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა. „თუ არ ეჩხუბებით და თავს დახრით. იტყვის: მაინც მაძლევს ხალხი ხმასო და არაფერს არ გაგიკეთებთ. მთავრობა არ მოქმედებს მაღლიერების პრინციპით, მთავრობა მოქმედებს დაშანტაჟების პრინციპით. შეაშინებთ არჩევნების წაგებით? ყვავს კაკალს გაავდებინებთ. ასეა ყველა მთავრობა, დღევანდელი ორიგინალური არ არის. ამიტომ მნიშვნელოვანია აქ გაიმარჯვოს ოპოზიციამ. დათვი უნდა შეიტყუო პატარა მოედანზე. აქ არის ახლა ის პატარა მოედანი. ეს იქნება პირველი მერცხალი ივანიშვილის „დემონტაჟის“ გზაზე“ - აღნიშნა მან.

„მნიშვნელოვანია რომ ოპოზიციური პარტიები, ძირითადად, „ნაციონალები“ და „ევროპული საქართველო“ შეეჯერდით და ერთმანეთს კანდიდატებს არ ვუყენებთ“- განაცხადა უგულავამ. ცნობისთვის, „ნაციონალური მოძრაობის“ დგილობრივი ლიდერი, დავით მჟავანაძე აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა.

უგულავამ არც ზაქარეიშვილის კონკურენტი დატოვა „უყურადღებოდ“: „მითხრეს, „ოცნების“ კანდიდატი ბავშვების ექიმიაო. მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, შეიძლება კარგი ადამიანიცაა, მაგრამ „ქართული ოცნება“ საკუთარ დეპუტატებს უყურებს, როგორც სტატისტებს, რომლებსაც მწვანე და წითელი ღილაკების გარჩევის ცოდნასაც არ თხოვს. ასეთი დეპუტატები ჩვენ არ გვჭირდება. სამაგიეროდ, გვჭირდება ექიმი. ამიტომ, თუ კარგი კაცია თავის ასპარეზზე გაცილებით უკეთესად შეიძლება დაგეხმაროთ“ - თქვა მან დავით მდინარაძეზე.

შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებთან

გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, მეფუტკრეე-ბთან და თხილის საწარმოების ხე-ლმძღვანელებთან სამუშაო შეხვედ-რები გაიმართა.

სამუშაო შეხვედრაზე ფერმერებმა და თხილის დარგის წარმომადგენლებმა, იმ დაგვემილ ღონისძიებებზე, რომელსაც სახელმწიფო ამ მიმართულებით გეგმავს დეტალური ინფორმაცია მოისმინეს. მავნებლთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია აუდიტორიას ფაროსანის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის ხელმძღვანელმა ლაშა შალამბერიძემ გააცნო.

ფერმერებს ფაროსანის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შესაძლებლობა აქვთ, გაიარონ **SMS** რეგისტრაცია საკოორდინაციო მართვის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - **www.parosana.ge**-ზე და მოკლე ტექსტური გზავნილების მეშვეობით მიიღონ დეტალური ინფორმაცია ღონისძიებების დაწყებისა და განხორციელების ვადებზე.

„ალიონი“ მხოლოდ გაზეთი არაა, იგი ჩვენი კულტურის ნაწილია

უკვე მერამდენე წელია გვესმის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან „ალიონისადმი“ ცივი, უყურადღებო დამოკიდებულების შესახებ. რა გჭირთ? სულმნათი აკაკისა არ იყოს – ასე უკუღმა როგორ გესმით პატიოსნება, ხშირ შემთხვევაში თქვენდამი მხარდაჭერაც კი?..

„ალიონი“ არაა ის გაზეთი, ენით უთქმელ, ყურით გაუგონარ სიბინძურეს რომ დაწერს კაცზე, მერე ამ ნათქვამს მიუბრუნდება და ისე ალოკავს, როგორც ძაღლი უბრუნდება თავის ნერწყვს... ეს თუ მოგწონთ და ასეთი მიდგომა თუ იმსახურებს თქვენს თვალში სიმპათიებს, აგაშენათ ღმერთმა...

თქვენ არ ხართ ახლა ისე მცირე ასაკის, რომ არ იცოდეთ ოზურგეთის ისტორია, მისი უნიკალური წარსული, ეს გაზეთიც ამ დიდი წარსულის ნაწილია. მას მხოლოდ გაზეთს ვერ ვუწოდებ, იგი ჩვენი კულტურაა...

„ალიონი“ თუ არ შევა საჯარო სივრცეში, ოფისებში, ოჯახებში, აბა, რა უნდა შევიდეს? ამ მოსაწყენ, ერთფეროვან კაბინეტებში, სადაც უცნაურად ყველა ერთმანეთს ჰგავს, მათი გონება რამდენიმე წუთით, თუნდაც საათითაც არ დაკავდეს ისეთი ხარისხიანი, ყველასაგან გამორჩეული, ცოდნით აღჭურვილი წერილებით, როგორიც ამ გაზეთში იბეჭდება?

რაღაცას ისევ თქვენი შვილების გამო გაუფრთხილდით!..

ოლიკო კობალავა-ჩხაიძე.

ხაჯალიის სკოლაში ევკალიპტების ბაღი გაშენდა

ალიონი. ლანჩხუთში, სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის ეზოში ევკალიპტის ასი ნერგი დარგეს. ბაღის გაშენება პროექტის „სოფლის ფილტვები“ ფარგლებში მოხერხდა.

11 აპრილს, აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებაში, პრეზენტაცია-გაკვეთილი ჩატარდა. 5 სხვადასხვა საგნის მასწავლებელმა, თავიანთ მოსწავლეებთან ერთად, ევკალიპტების გაშენების მნიშვნელობასა და მომავალ სარგებელზე ისაუბრეს. მაკა ახვლედიანი -ბიოლოგიის მასწავლებელი, რუსუდან აფხაზავა - ქიმიის მასწავლებელი, ზაურ გოგიტიძე-მათემატიკის მასწავლებელი, აკაკი თავდგირიძე-გეოგრაფიის მასწავლებელი-ეს ის პედაგოგებია, რომლებმაც, ბავშვებთან ერთად, თავისი სფეროს ფარგლებში ინფორმაცია დაამუშავეს და პროექტის განხორციელებისთვის გამოიყენეს. როგორც აღინიშნა, სკოლის ეზო ჭაობიანია. ხშირად წყლის ამოტუმბვაც ხდება საჭირო. ევკალიპტები კი წყალს დიდი რაოდენობით ისრუტავენ, შესაბამისად ტერიტორიის დაჭაობებასაც შეუშლიან ხელს. აღნიშნული მცენარის მედიცინაში ფართოდ გამოყენებაზეც ისაუბრეს. საინფორმაციო ბუკლეტებიც დაარიგეს, რომელშიც ევკალიპტის- როგორც მკურნალის შესახებ იყო საუბარი.

ევკალიპტების ბაღი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ პროექტის ფარგლებში გაშენდა. პროექტის ბიუჯეტი 400 ევროა.

მარინა თოფურია, *„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ხელმძღვანელი:* პროექტის დამფინანსებელია გე-რმანული ორგანიზაცია „პური მსოფლიოსთვის“. მე მომხრე ვარ ორგანიზაციას კი არ გადავუხადოთ მადლობა, არამედ იმ ხალხს, საიდანაც არის ორგანიზაცია, იმიტომ, რომ მათი ფული მოდის ჩვენთან. ასე რომ, მადლობა გერმანელ ხალხს. რაც შეეხება ევკალიპტებს, ეს მცენარე იმაზე მეტი ყოფილა, ვიდრე მეგონა. მართალია, ევკალიპტზე არც თუ ცოტა ინფორმაცია მქონდა, მაგრამ დღეს მაინც ბევრი ახალი რამ გავიგე მასზე“.

შეხვედრას ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ნინო ჩიტაძე, ოზურგეთელი პედაგოგები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ბოლოს სტუმრებმა სიმბოლურად ევკალიპტის რამდენიმე ნერგიც დარგეს.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს სამედიცინო ეტლები გადასცეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს სამედიცინო ეტლები გადასცეს.

გურიაში სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილთან და ოზურგეთის მერის მოადგილე ირაკლი სირაძესთან ერთად, ბენეფიციარებს სახლში ესტუმრა და ეტლები გადასცა. რწმუნებული ადგილზე გაეცნო არსებულ ვითარებას და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

აღნიშნული დახმარება საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიერ ოზურგეთის სოფლებში (ბაილეთი, დაბა ნარუჯა, ბოხვაური, ლიხაური, მერია) მცხოვრებ ბენეფიციარებს გაეწიათ. 2014 წლიდან - დღემდე რეგიონის მასშტაბით 600-მდე ეტლი დარიგდა.

იყო თუ არა ეს საბავშვო ბაღებში საეჭვო ხორცის შეტანის მორიგი მცდელობა

წითელი ბარათი „სოფოს,“ მწვანე შუქი „მახოხიას“

ყობინების საფუძველზე, საბ-ავშვო ბაღების მომმარაგებელ კომპანიაში არაგეგმური ინსპექტირება განახორციელა.

შპს „სოფოს“ შემოწმებ-ისას გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები, კერძოდ, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და ტემპერატურული რეჟიმის დარ-ღვევა, კონდენსატის არსებობა მაცივარში და კოროზირებული მილი, ხორცის ორგანოლეპტიკური მახა-სიათებლების დარღვევა —შეცვ-ლილი ფერი და კონსისტენცია, რის გამოც ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერდა და დაჯარიმდა.

ბაღების მომმარაგებელ კომპანიაში დაილუქა 164 კგ-მდე საქონლის ხორცი და 207 კგ ქათმის ფილე, რომელიც სააგენტოს ინსპექტო-რების ზედამხედვე-ლობ-ით განადგურდება.

ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი კრიტიკული შე-უსაბამობების აღმოფხვრის შემდეგ აღუდგება.“ (nfa. gov.ge 10.04. 2019 წ.)

მაკა ჭყონია: *ა(ა)იპ ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელი:* „ბაღების გაერთიანებამ ყოველგვარი პრევენციული ზომები გაატარა იმისთვის, რომ ბაღებში საეჭვო ხარისხის ხორცი არ შესულიყო.

აღვნიშნავთ, რომ ბაღებში საქონლის ხორცით მომარაგება ხდება კვირაში ერთხელ, საკლავი ყოველ სამშაბათ დღეს იკვლება დვაბზუს სასაკლაოზე,მეორე დღეს კი ხდება ხორცის დაფილვა (ამავე სასაკლაოზე), სადაც დაფილვას ყოველ ოთხშაბათ და ხუთშაბათ დღეს ესწრებიან სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მონიტორინგის თანამშრომლები.

ერთ-ერთ დაფილვის დღეს, ა.წ 28 მარტს, ხორცის მორიგი დაფილვის დროს, ცენტრის მონიტორინგის თანამშრომლებმა ვიზუალურად დაიწუნეს ხორცის ერთი ნაწილი, რომელიც იყო მუქი შეფერილობის და რეაგირებისთვის მაშინვე მივმართეთ სურსათის ეროვნულ სააგენტოს სიტუაციის შესწავლის მიზნით.

სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები მაშინვე გამოცხადნენ აღნიშნულ ადგილზე (დვაბზუს სასაკლაოზე), სადაც დააფიქსირეს კრიტიკული შეუსაბამობები და საწარმოო პროცესი შე-უჩერეს მიმწოდებელს - შპს „სოფოს“.

ეს იყო სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ, სიფრთხილისთვის და ბაღებში ვარგისიანი ხორცის შეტანის მიზნით განხორციელებული ქმედება,რომლითაც ჩვენ თავიდან ავიცილეთ ბაღებში საეჭვო ხორცის შეტანის მცდელობა.

პირველ რიგში, გვინდა გავაცხადოთ მშობლების საყურადღებოდ, რომ ბაღებში საეჭვო ხარისხის ხორცი არ შესულა, რისი პრევენციაც დროულად განახორციელა ბაღების გაერთიანებამ.

საწარმო პროცესის შეჩერების გამო სკოლამდელი აღზრდის **ცენტრმა ხელშეკრულება შეუჩერა მომწოდებელ შპს „სოფოს“** და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გააფორმა ერთ პირთან მოლაპარაკება, რათა არ შეფერ-ხებულიყო სააღმზრდელო პროცესი ბაღებში.

სკოლამდელი აღზრდის ცენტრი კვლავაც დიდი სიფრთხილით გააგრძელებს შემოტანილი საკვები პროდუქტის მონიტორინგს და არ დაუშვებს კვების რეგლამენტით განსაზღვრული სტანდარტის დარღვევის არც ერთ ფაქტს რეაგირების გარეშე..

ჩემი პეროგატივა არ არის, ვთქვა, უნდა დაელუქათ თუ არა დანარჩენი ხორცი.

იქვე განთავსებული ქათმის ფილეც არ შევატანინეთ ბაღებში, რადგან მაცივრის კარი დიდხანს დარჩა ღია,, ლღვობა დაიწყო.

სიტუაციის გარკვევამდე ჩვენ შევაჩერეთ ხელშეკრულება და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გაფორმა ერთ პირთან მოლაპარაკება, რათა არ შეფერ-ხებულიყო სააღმზრდელო პროცესი ბაღებში.

ნათია ცინცაძესთან. მისგან ხორცს 18,5 ლარად შევიძენთ. ასე რომ, სააღმზრდელო პროცესისთვის ხელი არ შეგვ-იშლია“.

დავით ლომჯარია, *დვაბზუს სასაკლაოს დირექტორი:*

„დვაბზუს სასაკლაოზე შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად იჯარით აღებული აქვს ფართი შპს „სოფოს“. ცხოველის მოყვანა, შემოწმება, დაკვლა, დასუფთავება, ვეტექიმის მიერ კვლავ შემოწმება ხდება „**HASP**“-ის სტანდარტების მიხედვით. შპს „სოფოს“ აქვს იჯარით აღებული ფართი და 12 კვადრატული მეტრის მოცულობის მაცივარი, სადაც მას გადააქვს დაკლული საქონლის ხორცი. ეს კერძო ბიზნესია და ჩვენ მის საქმიანობაში არ ვერევით.“

შპს „სოფოს“ პასუხისმგებელი პირი ირმა ხაბაძე:

„არ გიჩნდებათ კითხვა, რატომაა მუდმივად ყურადღების ცენტრში მხოლოდ ოზურგეთის საბავშვო ბაღები? მაგალითად, რატომ არავინ არაფერს ამბობდა, ექვსი წელი რომ „აჭიხვინეს“ ლანჩხუთში ბავშვები. ზოგიერთები მხოლოდ ახლა დაინტერესდა ამ საკითხით. თქვენც ხომ ხვდებით, რომ მიკე-რძოებაა. **უნდა იმუშაოს მხო-ლოდ ინდ. მეწარმე „მახოხიამ“, გიორგი კაკურიამ, რომელსაც ჩქარი ტაშით იწვევენ გამარტ-ივებული წესით.** მხოლოდ მან უნდა იმუშაოს. არ ხდება მისი არანაირი შემოწმება.

სასაკლაოზე, როგოც ყოველთვის, ტარდება მონიტორინგი.დაკვლის დღეს ხორცს გაუკეთეს ანალიზი, ძალიან კარგიაო. დაფილვას ესწრებოდნენ შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები. ერთ-ერთს არ მოეწონა ხორცის ნაჭერის ფერი და ატყდა ერთი ამბავი. შექმნილა უმართავი სიტუაცია. სასწრაფოდ გამოუ-ძახიათ ბაღების გაერთიანება და სურსათის უვნებლობა. შევიდნენ მაცივარში, გამოზიდეს დანარჩენი ხორციც, შექმნეს ანტისანიტარია. დისტრიბუტორები გარეთ გამოუ-ყრიათ. **მოვიდა სურსათის უვნებლობა, ნახა ხორცი დაყრილი მაგიდაზე და ანტისანიტარია, ამიტომ დალუქა ხორცი და თქვა განადგურდესო.**

სამუშაო პროცესი შეგვაჩერებინეს იმის გამო, რომ ლანჩხუთში არ შევსულიყავით და ოზურგეთში ზარალი გვენახა. იმიტომ, რომ მარტო „მახოხიამ“ უნდა იმუშაოს, სხვამ არავინ. საქონელი იყო 48 საათის დაკლული. ტენდერის პირობებში წერია: თუ შემსყიდველს არ მოსწონს ფერი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხორცი უვარგისია. მას შეუძლია თქვას, არ მომწონს და შემიცვალეთო. მე ვალდებული ვარ, შევუცვალო. მთლიანი პროდუქციის დაყადაღება და განადგურება არ უნდა მოხდეს. **ზარალი იყო დაახლოებით 6 000 ლარის, პლუს 1000 ლარი სურსათის უვნებლობის ჯარიმა,** რადგან ჩათვალეს, რომ ანტისანიტარია იყო. მაცივარი ღია რომ ჰქონდათ, ყინვამ დნობა დაიწყო, ფვეთები დაინახეს და დარღვევაა, თქვეს.

სურსათის უვნებლობამ ხორცის ნიმუში გადაგზავნა სამხარაულის ექპერტიზის ბიუროში, ეგონათ ცხენი ან ვირი იქნებოდა. მიიღეს პასუხი, რომ ხორცი ვარგისი იყო.

ოზურგეთში აღარ, მაგრამ მუშაობას გავაგრძელებთ ჩვეულებრივად. მოვლენ სურსათის უვნებლობის წარმომადგენლები, შემოწმდება საწარმო, რომლის გამოც დაგვაჯარიმეს. ოზურგეთთან, მიმდინარე ტენდერის დასრულების შემდეგ, აღარ ვითანამშრომლებთ. უბრალოდ, დაგვაზარალეს მეტი არაფერი. ამ დროს რეკლამასაც გვიკეთებენ, რაც უფრო მეტს საუბრობენ ჩვენზე, თანამშრომლობის მეტი მსურველი გამოგვიჩნდა.

ჩვენ იმდღესვე მივმართეთ კრიმინალურ პოლიციას. გენ. პროკურატურისთვის გადასაცემად გამზადებული მაქვს ვიდეო ჩანაწერი. გამოიკ-ვეთება - ვინ შექმნა არეულობა. ვაპირებ სასამართლოში დავას.

ერთსა და იმავე ადგილას, ჩოლოქში ვყიდულობთ მე და კაკურია საქონელს, იმის საქონელი კარგია და ჩემი უნდა დაილუქოს და განადგურდეს, რატომ? ერთი და იგივე საქონლის პარტიიდან. როდესმე კაკურია თუ შეამოწმეს? არასოდეს“.

ნინო შეწირული, *სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი:*

—„სურსათის უვნებლობის სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა კონტროლს კვების სხვადასხვა ობიექტებში. თუმცა, საბავშვო ბაღები ჩვენს სამსახურს პრიორიტეტად აქვს დასახული. სწორედ ამიტომ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სხვადასხვა ტიპის შემოწმებები ტარდება. ეს არის მონიტორინგი — ნიმუშის აღება; გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირება, დოკუმენტური შემოწმება.

ამ შემოწმების შედეგად, სხვადასხვა დროს ფიქსირდება სხვადასხვა ტიპის დარღვევები. მაგალითად: რეგიონის მაგალითზე შენიშვნები და რეკომენდაციები გვქონდა ინფრასტრუქტურისა და სამზარეულოს მოწყობის თაობაზე და დღეის მდგომარეობით ეს დარღვევები გამოსწორდა. ასევე იყო ეტიკეტირების წესების დარღვევა და გაიცა საჯარიმო სანქციები; თუმცა უფრო დიდი პრობლემები გვაქვს ე.წ. ბაღების საკვებით მომმარაგებლებთან.

მოგეხსენებათ, ტენდერის პირობებით ვერ ირჩევს ბაღების აიპები ბიზნესოპერატორებს, ამას კანონი განსაზღვრავს. ამიტომ ყველა ბიზნესოპერატორი ერთნაირი კეთილსინდისიერებით არ გამოირჩევა. ზოგი ცდილობა „იოლად“ იშონოს ფული, თუნდაც ეს ბავშვების ჯანმრთელობას ეხებოდეს. ეს ყოვლად შემაშფოთებელია და ჩემთვის, როგორც რიგითი მშობლისთვის, მიუღებელია.

გასულ წლებში გვქონდა შემთხვევები და **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბა-ვშვთა კვებაში ჩვენმა სამსახურმა აღმოაჩინა ცხენის ხორცის დნმ-ი. ხორცი მაშინვე ამოვიღეთ ბაღე-ბიდან, მოხდა მისი განა-დგურება და შესაბამის ორგანოებს გადაეცა აღ-ნიშნული ფაქტი.**

აქ, კონკრეტულ შემთხვევაში ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე, მაშინვე გავედით ადგილზე. შპს „სოფო“, რომელსაც სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აღიარება მიანიჭა, მდებარეობს ოზურგეთის - მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში, ე.წ. დვაბზუს ცხოველთა სასაკლაოს ტერიტორიაზე: **იქ დაგვხვდა არასასურველი სურათი, -„შავი“ ხორცი, ორგანოლეპტიკურად არაჯანსაღი, ცუდი სუნითა და შეფე-რილობით**. რამდენიმე ათე-ული კილოგრამი ხორცი ჩვენი მისვლისას უკვე არეული იყო ერთმანეთში და ცალ-ცალკე იდენფიცირება ვერ ხერხდებოდა, ამიტომ დაიწერა შესა-ბამისი ოქმი და ხორცი დაექვემდებარა განადგურებას, ასევე საწარმოს შეუჩერდა პროცესი და დაჯარიმდა კრიტიკული შეუსაბამობისთვის. ასევე **მაცივარში მოთავსე-ბული იყო ქათმის ფილე, რომელშიც ტემპერატურული რეჟიმი იყო დარღვეული და ისიც ასევე განადგურდა**. მინდა ხაზგასმით გითხრათ, რომ ფაქტი, რომელიც მოხდა და მყისიერად აღიკვეთა ეს დამსახურებაა ბაღების ხელმძღვანელობის და სურსათის ეროვნული სააგენტო მუდამ მზა-დყოფნაშია 24-საათიანი რეჟიმით იმუშაოს და არ დაუშვას მსგავსი ფაქტი. თუ ჩვენ დროულად მივიღებთ ინფორმაციას, პასუხიც და ქმედებაც იქნება დროული.

ჩვენ, ჩვენის მხრივ არ მოვადუნებთ ყურადღებას, ჩვენთვის ბაღები პრიორიტეტულია და მუდმივ რეჟიმში გავაკონტროლებთ, მაგრამ ყოველდღიური შეხება პრო-დუქტთან აქვს ბაღების ხელმძღვანელებს, **კიდევ ერთ-ხელ თქვენი დახმარებით ვთხოვთ მათ, რომ არ დამალოთ მსგავსი ფაქტები და დროულად გვაცნობოთ ჩვენ და ჩვენი სამინისტროს ცხელ ხაზს 1501.**

გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია პირადად ჩართულია ინფრასტრუქტურის სამუშაო პროცესებში და ერთობლივად ვატარებთ ღონისძიებებს. ყველა მხრივ გვაქვს ბერკეტი, რომ დავიცვათ ბაღები ურჩი ბიზნესოპერატორებისაგან.“

სამი კარგი ამბავი მე-2 საჯარო სკოლიდან

თემურ მარშანიშვილი

მოხდა ისე, რომ გასულ კვირაში, 9 აპრილის კვირეულთან დაკავშირებით სამჯერ ვიყავი ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში: პირველ ღღეს **„უცნაური პერფორმანსი“** ვიხილე, 10 აპრილს აფხაზეთის **„ქაფურის ხეების სითბო“** შევიგრძენი, ხოლო 11 აპრილს პროექტ „21-ე საუკუნის ავტორების“ რიგით მეექვსე ღონისძიების თანამონაწილე შევიქენი და ფილად მხვდა პატივი, ღონისძიების მონაწილე საზოგადოებასთან ერთად, სამახსოვრო ფოტო გადამეღო თანამედროვეობის ერთ-ერთ საინტერესო მწერალ **დათო ტურაშვილთან.**

ერთი სიტყვით, სამი კარგი, ერთმანეთზე უკეთესი ამბავი მაქვს ამ უდავოდ ლიდერი სკოლიდან და რომელით დავიწყო, არც კი ვიცი. ქრონოლოგიას ნუ დაარღვევო, შინაგანი მკარნახობს და ვერ ვეტყვი უარს.

მე ამ წარმოდგენას „სასწაულ სანახაობას“ დავარქმევდი

მარიამ გუჯაბიძე, მარიამ ნარსია, თიკა ვაშალომიძე, ქრისტინა ღლონტი, ლიზი ტულუში, სალომე ჩავლეშვილი, ემა იოსელიანი, ანა ბერძენიშვილი, ია გელაშვილი (IX-3 კლასი), **მიშო ჯინჭარაძე, ნატა სალუქვაძე, ნინო გობრონიძე, ნატა ჭანუყვაძე, დათო შარაშენიძე, ნიკოლოზ მელუა** (VIII-1 კლ-ასი) — მერწმუნეთ, ქალაქ ოზ-ურგეთის №2 საჯარო სკო-ლაში ამათი სპექტაკლი დიდ ნოდარ დუმბაძეს რომ ენახა, კარდეოლოგები მწერლის გულში ინფარქტის ნიშანწყალს ვერ მიაკვლევდნენ. დამრჩა შთაბეჭ-დილება, რომ ამ ახალგაზრდებს გაჩ-ერებული თუ გაგლეჯილი გულის ამუშავება ძალუძთ უწამლ-ოდ და უაქიმოდ. ამიტომ, ვფიქ-რობ, რომ წლევანდელი 8 აპრი-ლი, თავ-ისი „უცნაური პერფორმ-ანსით“ მეორესკოლელთათვის კი-დევ ერთ დაუვიწყარ, ისტორიული მნიშვნელობის დღედ და-რჩება.

არ მიკვირს სცენარის ავტ-ორ **მაია ღლონტისგან,** რეჟისორ **ვახო ჩხარტიშვილისგან,** წარ-მოდგენის მუსიკალურად გამფო-რმებელ **მაია თოთიბაძისგან,** თუ-მცა, დღეიდან არც ამ გოგონების-გან და არც IX-3 კლასის დამრი-გებელ **მაია მახარაძისგან** გამიკ-ვირდება ასეთი რამ: ნახევარ საა-თზე ცოტა მეტ დროში დუმბაძის ყველა გმირის ნატურალურად ამეტყველ-ამოქმედება სცენაზე. უნდა ვაღიარო, დუმბაძის ასეთ-ნაირი პერფორმანსი საერთ-ოდ არ გამიგონია, ხოლო ას-ეთი ზუ-რიკელა, ილიკო, ოლღა, ინგული თუ სხვა პერსონაჟები არათუ სკოლის, არამედ პროფესიულ თეა-ტრებში იშვ-იათად მინახავს.

ერთიც, ნუ მიწყენს მაია ღლ-ონტი, ვისაც, როგორც პიროვნებას, პედაგოგს, პოეტსა და დრამა-ტ-ურგს, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ სცენარის სათ-აურში არაფერ შუაშია სიტყვა „უცნაური“, მე ამ წარმოდგენას „სასწაულ პერფორმანსს“ (სანახა-ობას) დავარქმევდი

ასეთი სპექტაკლები გონივრულ დიპლომატიაზე ნაკლებ შედეგს არ მოიტანს

ჩვენი ქალაქის მე-2 საჯ-არო სკოლაში სასცენო ხელო-ვნება ტრადიციულად იმდენად მაღალია, ლამის პროფესიონალ-ურს გაუ-ტოლდეს, მაგრამ IX-2 კლასის (დამრიგებელი — **მაია თოთიბაძე**) „ქაფურის ხეების სითბომ“ (სცე-ნარის ავტორები — დედა-შვილი **მა-ია ღლონტი** და **ნიკოლოზ შაფ-აქიძე),** თუ ძალიან თითიდან გამ-ოწოვილი არ გამომივა, ყოველგვარ მოლ-ოდინს გადააჭარბა თავისი რეჟ-ისურით, ქორეოგრაფიით (**ვახო ჩხარტიშვილი**), მუსიკალური გაფო-რმებითა (**მაია თოთიბაძე**) და, რაც მთავარია, მოსწავლე მსახიობების ემოციური გარდასახვით, რიტმელ-ობითა და პლასტიკით.

წარმოდგენაში საოცრად კარ-გად ჩანს ქართველი და აფხაზი ხალხების სახეები და ხასიათები, ომისდროინდელი თანა-ბარი ზომის მტრული ურთიე-რთსიძულვილიც და სადღაც, გულის კუნჭულში მი-ნავლებული სიყვარულის ნაპერ-წკალიც. „ქაფურის ხეების სითბო“ საღი აზროვნებისა და სწორი განჭ-ვრეტის სპექტაკლია.

რა კარგი იქნება, რომ ამ წარ-მოდგენას, თუნდაც მის ვიდ-ეოჩანაწერს, აფხაზებიც ნახავდნენ, არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ უფროსი თაობის წარმომადგენ-ლებიც. რატომღაც და-რწმუნებული ვარ, რომ ასეთი სპექტაკლები გონ-ივრულ დიპლ-ომატიაზე ნაკლებ შედეგს არ მოიტანს და სამტროდ გადაკი-დებულ ორ მომე ერს რ-ეალურ ნაბიჯს გადაადგმევინებს შერიგებისაკენ.

გაიცანით და დაიმახსოვრეთ ქაფურის ხეების სითბოს გა-დამდე-ბი მოსწავლეები: **ანა ავ-ეტისიანი, სანა ბერიძე, გუგა დო-ხნაძე, მარიამ დოლიძე, თათო მე-ფარიშვილი, თაზო სიორიძე, გი-ორგი ჩხარტი-შვილი, ანა ჩხარტ-იშვილი, ნინო ეცადეიშვილი; ვალერი ფრანგიშ-ვილი, ლუკა იობიშვილი, გურამ საჯაია, ლიზი კილურაძე, თამარ ცერცვაძე, ანი მგელაძე, მარიამ მგელაძე, მარიამ ცეცხლაძე, ანი ხომერიკი, ნიკ-ოლოზ ჯინჭა-რაძე, თემურ ჩავლ-ეშვილი, კახა ინწკირველი, ლანა კოპლ-ატაძე.**

მწერლის მადლობა მარიამ ქორიძეს

11 აპრილი განსაკუთრებულ დღედ დარჩება VIII-1 კლასის მოს-წავლეების — **მარიამ ქორიძის, მიშ-კო თოიძის, გიორგი მელუას, შალვა ვადაჭკორიას,** და **ზურაბ მეფარი-შვილისთვის,** რომლებიც, დამრიგე-ბელ **მაია ღლონტთან** ერთად, ახორ-ციელებენ შესანიშნავ პროექტს „21-ე საუკუნის ავტორები. მერვეპა-რველებმა იმდენი მოახერხეს, რომ სარეცენზიო ღონისძიებაზე თვით „ჯინსების თაობის“ ავტორი მწერ-ალი **დათო ტურაშვილი** ჩამ-ოიყვანეს თბილისიდან და ამაში მნი-შვნე-ლოვანი წვლილი მიუძღვის „პროე-ქტის სულსა და გულს“ (მაია ღლ-ონტის სიტყვებია) **მარიამ ქორ-იძეს.**

მწერალმა, რომელსაც საც-რად თბილი ურთიერთობა აქვს მკითხ-ველთან, მაგრამ, დროის უქონლობის გამო, ხშირად ვერ ახერხებს მასთან შეხვედრას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა, უპირველესად, **მარიამ ქორიძის** დამსახურებაა.

„მოხარული ვარ თქვენთან შე-ხვედრითა და თქვენთან დიალოგით. დროის უქონლობის გამო ასეთ შეხვედრებზე ხშირად ვერ დავდი-ვარ, ჩემოსვლისთვის მადლობას მე ნუ მეუბნებით, მარიამ ქორიძეს უთხარით, რადგან, უპირველესად, მისი დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენ ერთმანეთს შევხვდით. ისეთნაირად მთხოვა, გვერდზე გადამდებინა ყველაფერი. საოცარი ბავშვები ხართ, საოცრად წიგნიერი. ვისაც არ ჭირ-დება შეგონება, რომ განათლებას და განვითარებას წიგნის კითხვა იძლ-ევა და არა კომპიუტერი. კომპიუ-ტერი უბრალოდ საკომუნიკაციო საშუალებაა, ამ საოცარ გამოგონებას შეუძლია დრო მოგ-ვაგებინოს და უზრუნველგვყოს მხოლოდ ინფო-რმაციით. მადლობა თქვენ ასეთი პროექტის განხორციელებისთვის“,

ჯინსების თაობის“ ავტორზე შეყვარებულმა ოზურგეთელმა მოს-წავლეებმა, დათო ტურაშვილის შემოქმედების ატაცებამდე და ინსცენირებამდე, დამოუკიდებლად „მოინადირეს“ 21-ე საუკუნის სხვა ავტორების ნაწარმოებები — **ბექა ადამაშვილის** „ბესტსელერი“, **ალეკო შელლაძის** „ვადამალვა“, **გიორგი კეკელიძის** „გურული დღიურები“, **ზურა აბაშიძის** „როგორ მოვკლათ ბოლო ელიოტი“, **აკა მორძილაძის** „სანტა ესპერანსო“.

როგორც მაიკო ღლონტმა გვი-თხრა, მალე შედგება პროექტის დასკვნითი ღონისძიება.

9 აპრილისადმი მიძღვნილი კვირეული დამთავრდა გასულ პარასკევს, 12 აპრილს თეორიული კონფერენციით, რომელშიც მონაწ-ილეობდნენ: VII-2 კლასის მოსწ-ავლეები — **ლიკა ჯინჭარაძე, ლევან სირაძე, ლიზი ანდღულაძე, ვახო ჩხაიძე, მარიამ ვოგიტიძე, ლიზი მახარაძე, ლექსო ქათამიძე, ლიზი მეფარიშვილი, სოფიო გორდელაძე, გიორგი კობახიძე, ნათია ღლონტი, ლიზი ჯიბუტი, ლიზი ხინთიბიძე, ნიკოლოზ ბარამიძე, მისელ მექვა-ბიშვილი** (პედაგოგი **ნატალია რამი-შვილი**); IX-1 კლასიდან — **გიორგი რატიანი** (პედაგოგი **ნათია თავა-რთქილაძე**); IX-3 კლასიდან — **ლანა დობორჯგინიძე, თინა ვაშა-ლომიძე** (პედაგოგი **მარიამ არეშ-იძე**); X-2 კლასიდან — **ანა დოლ-იძე, ანა თავდუმაძე** (პედაგოგი — **მაკა მამალაძე**).

1841 წლის აჯანყება გურიაში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით
გაგრძელება დასაწყისი გაზ. „ალიონი“ №5-8, 10-12



ჰასან ბეის გამოგზავნილებ-მა ბრუსილოვს აცნობეს, რომ ქობულეთის სანჯაყის მმარ-თველი მზად იყო დახმარებოდა რუსეთის ხელისუფლებას და ბრძანებას ელოდა. ბრუსილოვის თხოვნით, ჰასან ბეი თავდგირიძე იმავე დღეს გამოცხადდა მოს-ალაპარაკებლად.

პოლკოვნიკმა მას იგივე თხოვნა გაუმეორა და დამატ-ებით გურიაში შემოსული 100 ოსმალო მებრძოლის უკან გაწ-ვევაც სთხოვა. ჰასან ბეიმ პოლკოვნიკს ყველა პირობის შესრულება აღუთქვა.

თავის მხრივ, ჰასან ბეისაც ჰქონდა თხოვნა: თუ იგი ბრუ-სილოვის პირობებს შეასრუ-ლებდა, ამ უკანასკნელს ქობ-ულეთის სანჯაყის მმართველის დამსახურების შესახებ არზრუ-მის ფაშისათვის უნდა ეცნობე-ბინა. ჰასან ბეის მიზანი სავს-ებით ცხადი იყო: დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის ხელ-ისუფლება არზრუმის ფაშასა და ოსმალეთის სულთანს სის-ტემატურად აცნობებდა ჰასან ბეი თავდგირიძის უღირსი საქ-ციელის შესახებ.

ამჯერად ქობულეთის სან-ჯაყის მმართველი რეაბილიტა-ციას ითხოვდა. ქობულეთში და-ბრუნების შემდეგ ჰასან ბეიმ მართლაც გასცა უმკაცრესი ბრძანება, რომელიც გურიიდან ოსმალო მებრძოლების გამოწ-ვევას ეხებოდა.

ჰასან ბეი თავდგირიძესთან ურთიერთობის მოგვარებით გუ-რიაში შექმნილი უმძიმესი ვი-თარება ვერ გაუმჯობესდებოდა. 1841 წლის 14 აგვისტოს აჯ-ანყებულებმა კონტროლი დააწ-ესეს ოზურგეთიდან საჯავახოს გავლით ქუთაისისაკენ მიმავალ გზაზე. იმავე დღეს მათ შეი-პყრეს ბრუსილოვთან გაგზავნი-ლი ქართველი ეროვნების კურიერები. 15 აგვისტოს ნაშუ-ადღევის 5 საათისათვის დას-რულდა ოზურგეთის გარშემო ალყის შეკვრა. შეტევა კოკისპი-რული წვიმის გამო გადაიდო. 15 აგვისტოს მთელი დღის განმავლობაში აჯანყებულები საყვირებით ნიშანს აძლევდნენ გარშემო სოფლების მოსახლე-ობას. ისინი **ნასაკირალის** მთაზე შეიკრიბნენ. აქ გადიოდა სოფელ **ნაგომრისაკენ** მიმავალი გზა. აჯანყებულების მიზანი იყო არ გაეტარებინათ ქუთაისიდან ოზ-ურგეთში მიმავალი მეორე სახ-აზო ბატალიონის ასეული 2 ქვემეხით. 15 აგვისტოდან ოზ-ურგეთი მთლიანად მოწყდა გა-რე სამყაროს. ოზურგეთის ალ-ყაში მოქცევა კავკასიის კორპუ-სის შტაბის უფროსის გენერ-ალ-მაიორ პაველ კოცებუს, თბი-ლისის სამხედრო გუბერნა-ტორის გენერალ-ლეიტენანტ მიხაილ ბრაიკოს, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის გე-ნერალმაიორ სემიონ კახანოვის და გურიის რაზმის მეთაურის პოლკოვნიკ ალექსეი ბრუსილო-ვის მიერ დაშვებული არაერთი შეცდომის შედეგი იყო.

აჯანყებულები უკვე 1841 წლის აგვისტოს დამდეგიდან კარგად სარგებლობდნენ ამ შეცდომებით. 11 აგვისტოს ფო-თის მიდამოებში 23 აჯანყე-ბულმა გარეკა რუსეთის ჯარის კუთვნილი ხარები, ხოლო მწყემ-სი დაატყვევა. 13 აგვისტოს ის-ინი კიდევ უფრო ახლოს მივიდ-ნენ ფოთის ციხესთან, ნაძარცვი ნავებში ჩატვირთეს და მშვიდად გაუდგნენ გზას. ფოთის მიდამ-ოებში აჯანყებულთა გამოჩენის შემდეგ ქუთაისიდან ფოთში ჯა-რისათვის პროვიანტის გადაზ-იდვა შეწყდა. მალე აჯანყებულ-ებმა თავი მოიყარეს რედუტ-კალედან 20 ვერსის მოშორე-ბით, აქედან ისინი ჯერ რედუტ-კალეზეხოლო შემდეგ ფოთზე თავდასხმას აპირებდნენ. საქარ-თველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორად ახლად დანიშნ-ულმა გენერალ-მაიორმა **ალე-ქსანდრ სკალონმა** სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანს სთხოვა თავისი ლაშქრით დაეცვა ფოთი, რედუტ-კალე და მათი შემა-ერთებელი გზა. გენერალი მთა-ვარს ასევე სთხოვდა სამეგრ-ელოს მილიციის (სახალხო ლა-შქრის) ერთი რაზმი, 300 კაცი, პოლკოვნიკ მოვსეს არღუთი-ნსკი-დოლგორუკოვის დასახ-მარებლად გაემზადებინა.

პოლკოვნიკი **მოვსეს არღ-უთინსკი-დოლგორუკოვი** ახალ-ციხიდან ოზურგეთისაკენ დაი-ძრა. 1841 წლის 15 აგვისტოს მან შეიტყო, რომ თითქმის მთელი გურია აჯანყებულების ხელში იყო, ხოლო ოზურგეთს ისევ ალყა ერტყა. არღუთინსკიმ გადაწყვიტა, პირადად გასცნო-ბოდა შექმნილ მდგომარეობას. 16 აგვისტოს იგი ოზურგეთიდან ორი საათის სავალზე მდებარე სოფელ **ვაკოჯვარში** შეჩერდა და ადგილ-მდებარეობის დათვა-ლიერებას შეუდგა. არღუთინს-კიმ თავისი თვალით ნახა, რომ ახალციხის მილიციის გურიის ტერიტორიაზე შემოსვლის შემ-დეგ აჯანყებულთა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. პოლკოვ-

გვ-5

1841 წლის აჯანყება გურიაში

ნიკი ძალზე შეაშფოთა იმან, რომ ფოთიდან, წმ. ნიკოლოზის სიმაგრიდან და ქუთაისიდან ოზურგეთისაკენ მიმავალი გზები აჯანყებულების ხელში იყო. პირველი წარმატება, რომელიც არღუთინსკიმ მოიპოვა, ის იყო, რომ ჰასან ბეი თავდგირიძეს გურიაში შემოსული 200 ოსმალო მებრძოლი უკანვე გააყვანინა. ოსმალთა რაზმის გაყვანამ ცუდად იმოქმედა ლიხაურელების საბრძოლო განწყობაზე. ლიხაურში აჯანყების ხელმძღვანელები შეშინდნენ და ორ ქობულეთელთან ერთად არზრუმში გაიქცნენ. ლიხაურელების ოსმალეთის ტერიტორიაზე შესვლის ამბავი არღუთინსკიმ დაუყოვნებლივ აცნობა რუსეთის იმპერიის კონსულს არზრუმში, რათა ოსმალეთის ხელისუფლებას ისინი შეეპყრო და რუსეთ-ოსმალეთის საზღვართან (სომხეთში) მდებარე **ალექსანდროპოლში** (გიუმრში) გაეგზავნა. ალექსანდროპოლში აჯანყების მოთავეთა გაგზავნას არღუთინსკი შემთხვევით არ მოითხოვდა. თუ შეპყრობილ ლიხაურელებს შავშეთისა და აჭარის გავლით გამოგზავნიდნენ, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ისინი იქ მცხოვრებ ქართველებს გაეთავისუფლებინათ. მოვსეს არღუთინსკის ახალციხის მილიციით გურიის ტერიტორიაზე შემოსვლის დროისათვის იმერეთის მილიცია (300 კაცი) გამზადებული იყო უბიხების წინააღმდეგ საბრძოლველად და აფხაზეთისაკენ უნდა დაძრულიყო. პოლკოვნიკ **ბუიუროვის** შეცდომის წყალობით იმერეთის მილიცია აფხაზეთის ნაცვლად გურიისაკენ დაიძრა, თან წაიღო ტყვია-წამალი და ზარბაზნის ყუმბარები. 1841 წლის 16 აგვისტოს იმერეთის მილიცია რუსეთის ჯარის **ნაგომრის** საგუშაგოს მიუახლოვდა, რომელიც ამ დროისათვის აჯანყებულთა ალყაში იყო. მილიციის მეთაურმა პოლკოვნიკმა თავადმა **წერეთელმა** შეტევაზე გადასვლა ვერ გაბედა, რადგან ზარბაზნის ყუმბარები კი ჰქონდა, მაგრამ თავად ზარბაზნები იმერეთის მილიციისათვის არ გადაუციათ. წერეთელს იმედი ჰქონდა, რომ შეუერთდებოდა მეორე და მესამე სახაზო ბატალიონების 2 ასეულს, რომელთაც მე-19 საარტილერიო ბრიგადის ზარბაზნები ჰქონდათ. თუ იმერეთის მილიცია, მეორე და მესამე სახაზო ბატალიონები გაერთიანდებოდნენ, ნაგომარის საგუშაგოს აჯანყებულთა ალყისაგან გათავისუფლება შესაძლებელი იქნებოდა. გაერთიანება ვერ მოხერხდა, რადგან მეორე და მესამე სახაზო ბატალიონების 2 ასეული ჩოხატაურის საგუშაგოსთან აჯანყებულებმა საკმაო ხნით შეაჩერეს. იმერეთის მილიცია მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, მას ვერც პოლკოვნიკი ბრუსილოვი დაეხმარებოდა, რადგან ნასაკირალის მთაზე აჯანყებულები იყვნენ გამაგრებულები. იმერეთის მილიციის უფროს წერეთელს ვერ გადაეწყვიტა, პირველ რიგში ვის დახმარებოდა, ალყაშემორტყმულ ოზურგეთის გარნიზონს, ნაგომარისა თუ ჩოხატაურის საგუშაგოებს? 19 აგვისტოს წერეთელმა გადაწყვიტა, ჯერ **ჩოხატაურის** საგუშაგოსთან მდგარი აჯანყებულები დაემარცხებინა, შემდეგ – **ნაგომრის** საგუშაგო გაეთავისუფლებინა ალყისაგან და მხოლოდ ამის შემდეგ დაძრულიყო **ოზურგეთისაკენ.** იმერეთის მილიციის უფროსმა ქუთაისის მაზრის უფროსს სთხოვა 100 მილიციელი საჯავახოს ხეობაში ჩაეყენებინა, რათა ქუთაისიდან ოზურგეთისაკენ მიმავალი გზა არ ჩაეკეტათ აჯანყებულებს.

კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი **პაველ კოცებუ** ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ გურიის აჯანყებამ სერიოზული გაქანება მიიღო და სასწრაფო რეაგირება იყო საჭირო. გენერალმა კოცებუმ თბილისის სამხედრო გუბერნატორ გენერალ-ლეიტენანტ მიხაილ ბრაიკოს 1841 წლის 20 აგვისტოს სთხოვა, გაეცა ბრძანება, რომ ქუთაისის მაზრაში კიდევ შეეკრიბათ 100, ხოლო ახალციხის მაზრაში – 150 მილიციელი, იმ 150 მილიციელის ჩაუთვლელად, რომლებიც პოლკოვნიკ არღუთინსკის მეთაურობით გურიაში შევიდნენ. პოლკოვნიკმა ალექსეი ბრუსილოვმა მიიღო მიწერილობა, მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, დარჩენილიყო ოზურგეთში, რათა დახმარებოდა არღუთინსკის მილიციის რაზმს. გენერალ კოცებუს ბრძანების თანახმად, გენერალ-მაიორ **ოსიპ ანრეპისათვის,** იმ შემთხვევაში, თუ იგი გურიაში მილიციის რაზმის ჩამოყალიბებას შეძლებდა, დახმარება უნდა აღმოეჩინა შტაბს-კაპიტან **კოლიუბაკინს.** ყოველივე ამის მიუხედავად, ოზურგეთში ბრუსილოვისმდგომარეობა ისევ მძიმე იყო. იმერეთის მილიციამ ბრუსილოვს დახმარება ვერ აღმოუჩინა. წერეთელმა იმერეთის მილიციით ჩოხატაურის საგუშაგომდე მიაღწია, შეუერთდა იქ გამაგრებული პორუჩიკ **ლევინსკის** რაზმს (200 ოფიცერი და ჯარისკაცი 2 ზარბაზნით). მიუხედავად იმისა, რომ წერეთელსა და ლევინსკის 500 მებრძოლ ჰყავდათ, ჰქონდათ 2 ზარბაზანი და ყუმბარების მარაგი, წერეთელმა ოზუ-რგეთისაკენ ბრძოლით გზის გაჭრაზე უარი თქვა. პოლკოვნიკი ბრუსილოვი გენერალ-მაიორ კოცებუსათვის გაგზავნის მოხსენებაში იმერეთის მილიციის უფროს თავად წერეთლის მოქმედებას ასე აფასებდა: „ასეთი სუსტმა, ავადმყოფურმა და გაუბედავმა მოქმედებამ წაახალისა აჯანყებულები, მათი ბრბოები დღითიდღე იზრდებოდა, რომლებმაც მთელ გურიაში გააჩაღეს ძარცვა, რბევა, ძალადობა.“ თავად წერეთლის მეთაურობით იმერეთის მილიცია ბრუსილოვის გადასარჩენად გაიგზავნა, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი წერეთელი თვითონ ბრუსილოვს უნდა ეხსნა. ბრუსილოვს ოზურგეთის დატოვება არ შეეძლო თუნდაც იმიტომ, რომ 250 ავადმყოფ ოფიცერსა და ჯარისკაცს ბედის ანაბარა ვერ მიატოვებდა, გარდა ამისა, ტყეში გამავალ გზებზე ჯარით გადაადგილება დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული, აჯანყებულებს ნებისმიერ ადგილზე შეეძლოთ მოეწყოთ ჩასაფრებები.

ბრუსილოვმა წერეთელს აცნობა, რომ იგი ოზურგეთიდან ჯარს მაშინ გამოიყვანდა, თუ იმერეთის მილიცია და პორუჩიკ ლევინსკის რაზმი ოზურგეთისაკენ დაიძრებოდნენ და ნასაკირალის მთაზე გამაგრებულ აჯანყებულებს შეუტევდნენ. ბრუსილოვმა კარგად იცოდა, რომ სურსათისა და საბრძოლო მასალის სიმცირის გამო, რასაც ემატებოდა 250 ოფიცრისა და ჯარისკაცის ავადმყოფობა, იგი სერიოზული საბრძოლო მოქმედებების ჩატარებას ვერ შეძლებდა. ამ მძიმე ვითარებაში ჰასან ბეი თავდგირიძემ ბრუსილოვს აცნობა, რომ წმ. ნიკოლოზის სიმაგრის დაკავების შემდეგ აჯანყებულებმა სიმაგრეში დატოვეს სურსათის გარკვეული მარაგი, მაგრამ მისი ოზურგეთში გადმოტანა ვერ ხერხდებოდა.

საქართველოს ახალი ისტორია, 1801-1918, გვ.516-518)

ვახტანგ გურული

(გაგრძელება იქნება)

შპს "ვასაძის პური" აცხადებს ვაკანსიებს

1.შპს „ვასაძის პური" აცხადებს ვაკანსიას ხარისხის მართვის მენეჯერის და ISO22000 სტანდარტის მართვის სპეციალისტის პოზიციაზე.

სამუშაო ადგილი: ოზურგეთი
სამუშაო განაკვეთი: სრული
ანაზღაურება: **800 ლარიდან 1500 ლარამდე.**

ძირითადი მოვალეობები:
** კომპანიის ხარისხის მართვის დოკუმენტაციის წარმოება.
** ხარისხის კონტროლის პროცესების მონიტორინგი;
** ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგი;
** მონიტორინგის პროცესში აღმოჩენილი შეუსაბამობების/ხარვეზების შესახებ მაკორექტირებელი და პრ ვენციული ღონისძიებების დაგეგმვა და მათი დროული აღმოფხვრის უზრუნველყოფა;
** აღმოჩენილი დეფექტებისა და შეუსაბამობების მიზეზის განსაზღვრა-დადგენა.

მოთხოვნები:
** სასურველია მსგავს პოზიციაზე ან მსგავს სფეროში მუშაობის გამოცდილება;
** შესაბამისი განათლება;
** ინგლისური ენის ცოდნა.

უნარები:
** კომუნიკაბელურობა,
** მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა,
** გუნდური მუშაობის უნარი;
** დეტალებზე ორიენტირებულობა.

დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნეთ რეზიუმე ელ. მისამართზე: **sandomi.hr@gmail.com** და აუცილებლად სათაურის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება. სათაურის, და არა ქართულ ენაზე გამოგზავნილი რეზიუმე არ განიხილება. ვაკანსიები განიხილება 20 აპრილამდე.

დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

2. შპს "ვასაძის პურის" საკონდიტრო „სანდომი" აცხადებს ვაკანსიას წარმოების ტექნოლოგის პოზიციაზე.

სამუშაო გრაფიკი: სრული.
სამუშაო ადგილი: ოზურგეთი
ანაზღაურება: **800-დან - 1500 ლარამდე, კვალიფიკაციის და გამოცდილების მიხედვით.**

** უმაღლესი განათლება კვების ტექნოლოგის განხრით.
** სახელმწიფო სტანდარტების და ტექნიკური პირობების მოთხოვნების ცოდნა პროდუქტსა და ნედლეულზე.
** ანალიტიკური აზროვნების უნარი.
** გუნდური მუშაობის უნარი.
** მსგავს პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება სასურველია.
** დისციპლინირებული.
** კომუნიკაბელური .
** დროის ეფექტური მართვის უნარი.
** ორგანიზებული.
** პუნქტუალური.
** დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.
** ვადების დაცვის კონტროლი.
** ხელმძღვანელის სხვადასხვა დავალებების შესრულება.
** სასურველია არამწეველი

დაინტერესებულმა პირებმა გადმოაგზავნეთ რეზიუმე ელ. მისამართზე: **sandomi.hr@gmail.com** და აუცილებლად საგანში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება. სათაურის, და არა ქართულ ენაზე გამოგზავნილი რეზიუმე არ განიხილება. დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან. ვაკანსიები განიხილება 20 აპრილამდე.

3.შპს „ვასაძის პურის" საკონდიტრო "სანდომი" აცხადებს ვაკანსიას წარმოებისმენეჯერის პოზიციაზე.

სამუშაო გრაფიკი: სრული.
სამუშაო ადგილი: ოზურგეთი
ანაზღაურება: **800-დან - 1500 ლარამდე, კვალიფიკაციის და გამოცდილების მიხედვით.**
მოთხოვნა:
** უმაღლესი განათლება კვების ტექნოლოგიის ან წარმოების მენეჯმენტის განხრით.
** სახელმწიფო სტანდარტების და ტექნიკური პირობების მოთხოვნების ცოდნა პროდუქტსა და ნედლეულზე.
**ადამიანების მართვის უნარი.
** სასურველია არამწეველი

მოვალეობა
**წარმოების აღრიცხვა.
**ხელმძღვანელის სხვადასხვა დავალებების შესრულება.
**პერსონალის მართვა და დავალებების მიცემა.
**გამოწვეული პროდუქციის ხარისხის კონტროლი.

დაინტერესებულმა პირებმა გადმოაგზავნეთ რეზიუმე ელ. მისამართზე:სანდომი.**hr@gmail.com** და აუცილებლად საგანში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება. სათაურის, და არა ქართულ ენაზე გამოგზავნილი რეზიუმე არ განიხილება. დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

ვაკანსიები განიხილება 20 აპრილამდე.

დ

სულთათანა

თინა დარჩიას მარადიულ ხსოვნას

15 აპრილს 90 წელი შეუსრულდებოდა ჩვენი ოჯახის უხუცეს წევრს, გურიანთის საჯარო სკოლის ყოფილ პედაგოგს თინა დარჩიას.

არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ მისი დაბადების დღე, 15 აპრილი, სიყვარულის დღეს დაემთხვა. თვითონაც მთელი ცხოვრება ულევ სიყვარულად, სითბოდ იღვრებოდა და ამ სულისკვეთებას უნერგავდა როგორც თავის აღსაზრდელებს, ასევე ჩვენც, მისი ოჯახის წევრებს.

ეს სპეტაკი ქალბატონი ბავშვის სულის წრთობის ნამდვილი დიდოსტატი იყო. საუკეთესო ბიოლოგი, თავისი ნოვაციებით, მნიშვნელოვან კვალს ტოვებდა როგორც რაიონის, ასევე რესპუბლიკის პედაგოგიური სა-ოგადოების ცხოვრებაში. ამასთან, გახლდათ საუკეთესო მეუღლე, დედა, ბებია. ამიტომაც ვსაუბრობთ მასზე სიყვარულით, პატივისცემითა და ტკივილნარევი სევდით. ქედს ვიხრით მისი ხსოვნის წინაშე და ამ მღელვარე წუთისოფელში გამოვხატავთ დიდ მადლიერებას მისი არსებობისათვის.

ჩვენ, მის დანატოვართ გვეამაყება, რომ ღირსეული ადამიანის სახელი გაჰყვა და სალბუნად დაეფინა მის სულს მარადიულ სამყოფელში.

გვწამს, რომ ის ზეციურშიც ღირსეულთა რიგებშია დამკვიდრებული.

შვილი მანანა ტოტოჩავა. შვილიშვილები თინა და შაკო ვაშაყმაძეები, მულიშვილები ელიზა და იამზე კილურაძეები.



„ალიონი“ იუწყება ჩვენი გაზეთის მეგობრის, პოეტ **გალაქტიონ ღლონტის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა სამშაბათს, 16 აპრილს ქ. თბილისში, ქავთარაძის №-1.

ოზურგეთის „მერცხალის“ ვეტერანი ფეხბურთელები ანზორ ვახრამოვი, ნოდარ ჩხარტიშვილი, სოსო (ქუცა) ქადეიშვილი, პავლე ჟორდანია, როლანდ ისიანი, პაპუნა ნემსაძე იუწყებიან გასული საუკუნის 60-იანი წლების ცნობილი ფეხბურთელის **სოსო დუმბაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი „ალიონი“ თანაუგრძნ-ობს სოფელ შრომის საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ რუსუდან ცეცხლაძეს დედამთილის **თინა ხომერიკის** გარდაცვალების გამო.

სად ინახება ზვიად გამსახურდიას ბარელიეფი?

ალიონი. სად ინახება ზვიად გამსახურდიას ბარელიეფი, რომელიც 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, ქალაქის გულისგულში, საქართველოს პირველი პრეზინდენტის სახელობის მოედანზე, უძველესი და არქიტექტურულად საინტერესო სახლის რესტავრაციისას კედლიდან ჩამოხსნეს?

მისი შემქმნელის, ვარსკვლავოსანი მხატვრის ვახტანგ მამეიშვილის თქმით, ბარელიეფი ერთ-ერთ ოჯახში ინახება და მალე დაუბრუნდება ავტორს:

„ბარელიეფი, უფრო სწორად მედალიონი, ოზურგეთში, ერთ-ერთ ოჯახში ინახება, მალე დაუბრუნდება ავტორს და რესტავრირების შემდეგ (შესაცვლელია გარშემო წარწერები) განთავსდება ქალაქის მთავარ მოედანზე. მაგრამ, მხოლოდ ეს მედალიონი არ არის საკმარისი, ოზურგეთში აუცილებლად უნდა იდგეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბიუსტი. იმედია, ამას გაითვალისწინებენ, მითუმეტეს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მალე დაიწყება ქალაქის პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები“.

იყიდება

ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩაზე 2-სართულიანი, კეთილმოწყობილი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. აქვს გარაჟი, ეზო 500 კვ.მ. დაგვიკავშირდით: (591) 15 57 57.

სკანვორდი



№ 14-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ბენიამინ ჩხიკვიშვილი; ჩიტი — სირი; ჯონჯოლი — კაპა; საბირჟო გარიგების ვადა — მედიო; საძოვარზე გაშლილი საქონელი — ნახირი; მიმართულება მუსიკაში — დოდეკა; გულის დაავადება — იშემია; მოსახსენებელი წიგნი — დიპტიხი; ხმამაღლა ლაპარაკის უნარის დაკარგვა — აფონია; გრენლანდიის აღმოჩენი — რაუდა; ღვინის გადასატანი ჭურჭელი — ტიკი; მე მეგრულად — მა; შეკრებილი საზოგადოება — ჯამაათი; რიცხვი — ორი; ბულბული — შარუხი; კურორტი რაჭაში — შოვი; გაჩანაგებული, მიტოვებული ადგილი — ხარაბა; რძის ნაწარმი — დო; მემაღაროე — ქანქანა; სპორტის სახეობა — ბოულინტი; მე-14 ასობგერა — ო; კატის კიდური — თათი; ვაი სვანურად — ვოი; მერქნოვანი მცენარე — ლაფანი; მე-3 პირის ნაცვალსახელი — იგი; მთის ნაშალი — ქანი; მღვიმე აფხაზეთში — ილუზია; მისწრებაა ლობიოზე —ბოლოკი; დასტაქარი — ექიმი; იზა მოფერებით — იზუკა; სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში — აჭი; საყურე — უტურა; ცნობილი ილუზიონისტი — კიო; წყლიანი ღრმა ორმო — ჭა; კავშირი — თუ; გარეული ცხოველი — ტურა; ქალის სახელი — ანა; ხურდა ფულის შესაგროვებელი — ყულაბა.

მიხეილ გოგოტიშვილი - მომღერალი და „მუშა ფუტკარი“



ბატონი მიხეილი ჩვენი თანამედროვე გახლდათ, მას ხშირად შეხვდებოდით ოზურგეთის ქუჩებში მომღიმარი სახით, განსაკუთრებით მაღაზიაში, გურიის გამზირზე(ახლანდელი ბაზრის მიმდებარე ტერიტორია). თუ არ მეშლება, ფართლეულის მაღაზიაში ვაჭრობდა.

მიხეილ პარმენის ძე გოგოტიშვილი დაიბადა 1920 წლის 16 სექტემბერს, სოფელ დვაბზუში სწავლობდა დვაბზუს ოთხლკლასიან სასწავლებელში, სკოლა მდებარეობდა ყოფილი საბურავების ქარხნის ტერიტორიაზე. აღნიშნული ოთხწლედის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ოზურგეთის პირველ საშუალო სკოლაში (ამ სკოლას სამამულო ომის პერიოდში ჰოსპიტლის ფუნქცია ჰქონდა). საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გამოცდები ჩააბარა პროფტექნიკურ სასწავლებელში „ეკონომიკისა და ვაჭრობის სპეციალობით.“ 1939 წლიდან დაიწყო მუშაობა ვაჭრობის სისტემაში.

1940 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მსახურობდა საჰაერო-სადესანტო ბატალიონში. როგორც მის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, იგი მონაწილეა 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე სამხედრო პარადისა, საიდანაც მეომრები პირდაპირ ფრონტის ხაზზე იგზავნებოდნენ. მიხეილი მოხვდა „სტალინგრადის მისადგომებთან“, სადაც მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. ბრძოლებში მამაცობისათვის მიღებული აქვს სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი, დაჯილდოებულია მედლით, როგორც სტალინგრადის ბრძოლის მონაწილე. 1943 წელს სტალინგრადის საბრძოლო ოპერაციების შესრულების დროს დაჭრა და მკურნალობდა სამხედრო ჰოსპიტალში. გახდა მესამე ჯგუფის ინვალიდი, დემობილიზებული იქნა სამხედრო ნაწილიდან და დაუბრუნდა თავის მშობლიურ კერას. გამოჯამრთელების შემდეგ ისევ დაიწყო ვაჭრობის სისტემაში მუშაობა. მალე დაქორწინდა ქალბატონ კაკალა ჩავლეიშვილზე. მათ შექმნეს სამაგალითო ოჯახი.

ბატონმა მიხეილმა 50 წელი იმუშავა სავაჭრო სისტემაში. ამ ხნის მანძილზე კარგი მუშაობისათვის მიღებული აქვს მრავალი სიგელი და სამადლობელი ბარათი. 1983 წელს, საქართველოს ვაჭრობის მინისტრის ბრძანებით, მიენიჭა ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის წოდება. უფრო ადრე, 1980 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის ბრძანებით, მიენიჭა „ შრომის ვეტერანის საპატიო წოდება“. პარალელურად აქტიურად მოღვაწეობდა კულტურის სფეროში. წლების განმავლობაში იყო ცნობილი ლოტბარის ვარლამ სიმონიშვილის გუნდის წევრი, შემდეგ სარაიონო კულტურის სახლთან არსებული სახალხო ანსამბლის წევრი (ხელმძღვანელი ვლადიმერ ერქომაიშვილი). როგორც რაიონში, რესპუბლიკაში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ სცენას ყოველთვის ამშვენებდა მისი ბანი. იყო უხუცესთა ანსამბლ „დილას“ წევრი.

მიხეილის პიროვნების შესახებ მისი უახლოესი ნათესავი მარლენ სკამკოჩაშვილი გვიყვება: „მიხეილ გოგოტიშვილი მიეკუთვნებოდა იმ ადამიანების კატეგორიას, რომელიც თავისი პატიოსნებით, კეთილსინდისიერებით. სამშობლოსადმი სიყვარულით, ცხოვრების სტილით გამოირჩეოდა სხვებისაგან. იგი იყო მოწესრიგებული ადამიანი, კომუნიკაბელური, შრომისმოყვარე , რომელსაც ჩვენ ახლობლებლები „მუშა ფუტკარს“ ვეძახდით. განსაკუთრებით ოჯახის დიდი მოყვარული იყო. მას გადმოცემის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. სიამაყით გადმოსცემდა წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბერს ჩატარებულ პარადს, რომ სხვა სამხედრო შენაერთებთან ერთად ,მისმა ბატალიონმაც ჩაუარა უმაღლეს მთავარსარდალს, ასევე დიდი სიამაყით იხსენებდა 2005 წელს, როდესაც ის ქალაქ ტოკიოში უხუცესთა ფოლკლორულ ფორუმში მონაწილეობდა. ტოკიოს ქუჩებში გამოფენილი იყო მათი ფოტოები და პლაკატები. არ შეიძლება არ აღვნიშნო მისი ცხოვრების ბოლო მტკივნეული პერიოდი მისი შვილის თენგიზ გოგოტიშვილის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო, რამაც ძირითადად განაპირობა მისი და მისი მეუღლის ქალბატონ კაკალას გარდაცვალება.“

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2005 წელს იაპონიაში, ტოკიოში ჩატარდა მსოფლიოს უხუცესთა ფორუმი, რომლის მონაწილეებს უნდა წარედგინათ თავისი ქვეყნები ტრადიციული ფოლკლორით, საქართველოდან იმ ოთხეულს შორის, ვისაც ერგო ეს დიდი პატივი, გახლდათ მიხეილ გოგოტიშვილი.

ბატონი მიხეილი გარდაიცვალა 2008 წელს დაკრძალულია სოფელ დვაბზუში.

მიხეილ გოგოტიშვილი ორი ვაჟის - თენგიზის (გარდაცვლილი) და პაატას მამა იყო, დარჩა ხუთი შვილიშვილი. შვილიშვილთაგან მხოლოდ ლაშა გაჰყვა ბაბუას კვალს. იგი 2012-2014 წლებში ანსამბლ „ვახტანგურის“ წევრი იყო. 2015-2018 წლებში საქართველოს ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ მასახიობ-მომღერალი (მოკრიმანჭულე) გახლდათ. ამჟამად ანსამბლ„შვიდკაცას“ და „შემოქმედის“ მოკრიმანჭულეა. მინდა წარმატებები ვუსურვო ამ ახალგაზრდა კაცს.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზემო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

<u>დამწყებ მეფუტკრეთა დასახმარებლად</u>

ფუტკრის შეძენა და მოვლის წესების დაცვა

მსოფლიოს ხალხთა შეგნებაში ფუტკარი აღიარებულია როგორც წმინდა არსება. მეფუტკრეობა – ეს არის მეცნიერება, გზამკვლევი ბუნების საიდუმლოებათა სამყაროში. ფუტკარი მხოლოდ თაფლის მომტანი მწერი არაა, ის არის უებარი მკურნალი. განსაკუთრებით დიდია მისი, როგორც დედამიწაზე პირველი ეკოლოგის, როლი ბუნებისა და აგრარულ დარგთა განვითარებაში.

მეფუტკრეობა მოითხოვს გონივრულ, გათვლილ, გეგმიურ, დაუზარელ შრომას.

ფუტკრის შეძენამდე მომავალმა მეფუტკრემ უნდა შეიყვაროს ეს მეთაფლე მწერი, კარგად გაეცნოს ფუტკრის ოჯახის ცხოვრებას, თვისებას, უპირველესად, უნდა შეისწავლოს ფუტკრის ბიოლოგია, დაავადებები და ხალისით მოეკიდოს მის მოვლა-პატრონობას.

ფუტკრის შეძენა შეიძლება როგორც ადგილზე, ისე საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე. საზღვარგარეთიდან ფუტკრის შემოყვანა კანონით აკრძალულია. საქართველო ამ მხრივ ნაკრძალად არის გამოცხადებული, რათა დაცულ იქნას მსოფლიოში აღიარებული ქართული ფუტკრის ხალასი ჯიში.

ფუტკრის შეძენამდე დამწყებმა მეფუტ-კრემ, სპეციალისტის დახმარებით, უნდა შეარჩიოს საფუტკრე ადგილი ფუტკრის დასასმელად ეზოში ან ბაღში, შესაფერის ადგილზე. კარგია საჩრდილობლები, ხეების ქვეშ. ადგილი არ უნდა იყოს წყლიანი (ჭაობიანი), არ უნდა იყოს ავტოფარეხთან, ბოსელთან და მდინარესთან ახლოს, მეწყრულ და ზვავსაშიშ ადგილებზე, ახლოს უნდა იყოს სასმელი და მოსახმარი წყალი, მისასვლელი გზა.

ფუტკრის მოყვანამდე წინასწარ გავაკეთოთ სადგომები 40-50 სმ სიმაღლეზე. საფრენი უნდა ჰქონდეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, რათა დილის მზემ ადრე შეხედოს, სკა 2-3 სანტიმეტრით დახრილი დავტოვოთ საფრენის მხარეს, ფუტკარს ნაგვის გამოტანა გაუადვილდება და წყალიც სახურავიდან უკეთ ჩამოიღვრება, რიგთა შორის მანძილი 2-3 მეტრამდე, ხოლო სკებს შორის დაცილება მეტრნახევარი, სკების გარშემო მაღალი ბალახი არ უნდა იყოს, სკის წინა მხარეს დასაფრენ ფიცარზე მივადგათ დამატებით მისაფრენი ფიცარი, რომ ღალიდან დაბრუნებული, დაღლილი ფუტკარი ძირს არ დაეცეს და უვნებლად დაფრინდეს. ვიქონიოთ საფუტკრის ჟურნალი. ფუტკრის ოჯახები დავნომროთ, ნუმერაცია დაგვეხმარება დედების ასაკის, საკვებისა და სხვა ჩასატარებელი სამუშაოების ცოდნაში.

საფუტკრეში იყოლიეთ ჯანმრთელი ფუტკრის ოჯახები. ამისათვის დროულად, გრ-აფიკის მიხედვით, უნდა ჩატარდეს სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებანი. ფუტკრის ოჯახებს შორის, ქურდობის თავიდან აცილების მიზნით, დაიცავით ფუტკრის კვების აუცილებელი წესები. ყოველ ორ წელიწადში მოახდინეთ დედა ფუტკრის შეცვლა, ბუდის ფიჭების განახლება ხარისხიანი საშენი ფიჭებით, ყურადღებით იყავით სამკურნალო პრეპარატების შეძენის დროს, არ შეიძინოთ ვადაგასული და არალიცენზირებული წამლები.

წინასწარ შევიძინოთ მეფუტკრის აუცილებელი ინვენტარი: პირბადე, ასტამი, საბოლებელი, ჩარჩოები, ასაშენებელი ფიჭები, ჩარჩოში გასაბმელი მავთული, ცვილის გამოსადნობი ჭურჭელი; თაფლის საწურავი, მეფუტკრის დამხმარე ყუთი, სპეცტანსაცმელი (სასურველია იყოს თეთრი), ფიჭების გადასატანი ყუთი (კონტეინერი), ფიჭის გადასათლელი დანები, ფიჭის ჩასაკრავი საგორავი (დეზი), სადედე გალია – ყუთი ამანათაყრისათვის და სკები ნამატი ოჯახებისათვის.

ფუტკრის შეძენა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ უკეთესია კარგად გამოზამთრებულზე, მარტ-აპრილში, წინაა მთავარი ღალიანობა, ოჯახი ჩქარა გაძლიერდება და კარგი ღალიანობის პირობებში კარგ მოსავალს მიიღებთ, ამავე დროს, ფუტკარი სამარაგო თაფლსაც დააგროვებს. არ მოახდინოთ თაფლის ფალსიფიცირება. დარგეთ თაფლოვანი ხეები.

ფუტკრის შეძენამდე ვიფიქროთ, ვისგან ვაპირებთ მის ყიდვას, ზოგიერთ საფუტკრეებში დაავადებულია ფუტკარი, მოძველებულია ბუდის ფიჭები, არ უვარგათ საფუტკრეში სანიტარული მდგომარეობა. ვურჩევ დამწყებ მეფუტკრეს დახმარებისათვის მიმართოს გამოცდილ სპეციალისტს, ან მეფუტკრეთა კავშირს. შესაძლოა, ჯგუფის შექმნის შემთხვევაში. განვაახლოთ შემსწავლელი კურსები.

გავითვალისწინოთ, რომ ღალიანობის პერიოდში 4-5 კმ-ზე ახლო მანძილიდან მოღალე ფუტკრები მეორე დღეს ძველ ადგილას დაბრუნდებიან. გადაყვანა ხდება საღამოს, როცა ფუტკრები დაბინავდება. დაცული უნდა იყოს გადაყვანისათვის აუცილებელი წესები და მოთხოვნები ფუტკრის უსაფრთხო მგზავრობისათვის. ამაში სპეციალისტი დაგეხმარებათ. გადაყვანის შემდგომ ფუტკარს ადგილზე დავსვამთ, 20-30 წუთის შემდეგ ვუხსნით საფრენს დამშვიდებულ ფუტკრებს.

ტრანსპორტირება შესაძლებელია ავტომობილებით, საზღვაო, სარკინიგზო და საავიაციო საშუალებებით. რკინიგზით გადაყვანის შემთხვევაში, ფუტკრის ოჯახები უნდა დავდგათ ისე, რომ სკის ჩარჩოები იყოს მოძრაობის მიმართულებით, ხოლო ავტომობილით გადაყვანის შემთხვევაში – საპირისპიროდ, საფრენით მარჯვნივ ან მარცხნივ.

ფუტკრის ოჯახი შევიძინოთ ორი ან უფრო მეტი. ეს თქვენს ფინანსებზეა დამოკიდებული. ორი იმიტომ, რომ ფუტკრის ოჯახების ურთიერთდახმარებისთვისაა კარგი.

გაეცანით მეფუტკრეობის ახალ ლიტერატურულ წყაროებს, გაიღრმავეთ ცოდნა, თეორია და პრაქტიკა განუყოფელია ერთმანეთისაგან. ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა საჭირო ღონისძიებების გატარებით მიაღწევთ სასურველ შედეგს.

როგორ დავიწყოთ ფუტკრის მოვლა?

დამწყებმა მეფუტკრემ რამდენი ოჯახიც უნდა შეიძინოს, აუცილებელია იცოდეს ფუტკრის ოჯახის მოვლის მოთხოვნები. პირველ რიგში, ვიქონიოთ საჭირო ინვენტარი, ჩავიცვათ მორგებული ტანსაცმელი, სასურველია თეთრი სამოსი.

ფუტკარი ძალიან მგრძნობიარეა, სუფთა და



ფაქიზი, არ უყვარს ალკოჰოლური სასმელებისა და ოფლის სუნი. ვიმუშაოთ, რაც შეიძლება მშვიდად, ფრთხილად, ასევე გირჩევთ, გაბრაზებული ნუ მიბრძანდებით ფუტკართან.

სკის გახსნის წინ საფრენში 3-4-ჯერ ოდნავ დაუბოლეთ. სკას ყოველთვის მიუდექით გვერდითი მხრიდან. ჯობია დასავლეთ მხარეს ჩამოვაყალიბოთ ბუდე. ფრთხილად ვხსნით სახურავს, საფარ ტილოს, ვიღებთ ფრთხილად ჩარჩოებს. გასინჯვის დროს ჩარჩო ბუდეზე დავიჭიროთ ოდნავ მოხრილ მდომარეობაში, ვერტიკალურად, შემთხვევით დედა რომ ჩამოვარდეს, არ დაგვეკარგება, ჩავარდება სკაში. ოჯახის გასინჯვას ძალიან დიდ დროს ნუ მოვანდომებთ. ფუტკრის ოჯახის გასინჯვა ცივ, ქარიან და წვიმიან ამინდში დაუშვებელია. საფუტკრეში არ შეიძლება ჩქარი მოძრაობა, სირბილი, ხელების ქნევა და პირუტვის გაშვება. თუ აუცილებელი არაა, ფუტკრის ოჯახი არ გავსინჯოთ. პერიოდულად მოვახდინოთ სკებისა და ინვენტარის დეზინფექცია. გახსოვდეთ, ფუტკართან კეთილგონივრული თანამშრომ-ლობით თქვენ გახდებით წარმატებული მეფუტკრე. გისურვებთ წარმატებას ამ ეროვნულ საქმეში.

ჯანვერდი ცეცხლაძე,
გურიის მეფუტკრეთა კავშირის
თავმჯდომარე.
ტელ. 593 60 99 95.

კაი კაცი და კაი მომღერალი



„მომღერალს კაცობა თუ არ ახლავს, იგი კაი მომღერალი ვერ იქნება“. ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ მომღერალს, მგალობელსა და დიდ ხელოვანს არტემ ერქომაიშვილს. სწორედ ასეთი პიროვნება, „კაი კაცი და კაი მომღერალი“ იყო ბატონი ამირან თოიძე.

ამირან თოიძე დაიბადა 1919 წელს, სოფელ მაკვანეთში. მამამისი ლუკა თოიძე ითვლებოდა ერთ-ერთ თვალსაჩინო მომღერლად გიგო ერქომაიშვილის გუნდში. სწორედ მამამ აღუძრა ამირანს გურული სიმღერების შესწავლის სურვილი, რომელიც შემდგომ უფრო დახვეწა და გამოაჩინა ბატონმა არტემ ერქომაიშვილმა.

ჩემი ბავშვობის პერიოდში მახსოვს, მაკვანეთის გუნდი კონცერტებს რომ აკეთებდა სოფლის კლუბში, დღესასწაულებზე თუ სანახაობებზე. ყველა კარგი მომღერალი იყო, მაგრამ განსაკუთრებულად დამამახსოვრდა დების – ნუნუ და ეთერ გორდელაძეების და შემდგომ ქვისლების – ამირან თოიძისა და დათიკო ერქომაიშვილის არაჩვეულებრივი ხმები. ახლაც გულში ჩამწვდომად მესმის ქალბატონი ეთერის დაწყებული კალოს ხელხვავი, ამირან თოიძის მეორე ხმა და დათიკო ერქომაიშვილის ხავერდოვანი ბანი. დროთა განმავლობაში ამირანი ხან მეორე ხმას ამბობდა და ხან ბანს. საერთოდ კი, ორივე ხმა ძალიან კარგად გამოსდიოდა.

მინდა ერთი ამბავი გავიხსენო: 1996 წელს მე მიმიწვიეს საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში, ქართულ ანსამბლ „მარანისთვის“ გურული სიმღერების სწავლების მიზნით. ერთ-ერთ თავისუფალ დღეს ანსამბლის წევრებმა გადაწყვიტეს ჩემთვის ეჩვენებინათ პარიზის ღირსშესანიშნავი ადგილები. სულ ბოლოს შემიყვანეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მითხრეს: მოგასმენინებთ გურული სიმღერების ჩანაწერებსო. გამიკეთეს აპარატი ყურზე და ველოდები სიმღერის დაწყებას. უცებ მესმის: ა დილაა – ააა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა იმიტომ, რომ პარიზში ვისმენ ამირან თოიძის დაწყებულ „ადილა-ალიფაშას“. ცრემლიც კი მომერია, გავიფიქრე, რომ ჩავალ, ამირანს გავახარებ და ვეტყვი მისი ხმა რომ აღარ დაიკარგება.

ამირანმა შესანიშნავი ოჯახი შექმნა. უფროსი შვილი ბადრი თოიძე ბავშვობიდან გაჰყვა ხელოვნებას და შედეგსაც მიაღწია, იგი ხელოვნებათმცოდნეობის პროფესორი და საქართველოს სახალხო არტისტი გახდა. სიცოცხლის ბოლომდე იყო ანსამბლ „რუსთავის“ დირექტორი. დასანანია, რომ ბატონი ბადრი ადრე გარდაიცვალა.

უმცროსი შვილი დევიკო შესანიშნავი, გემრიელი ხმის პატრონია, მაგრამ თავის გამოჩენა არ უყვარს. იგი თავის სოფელში, მაკვანეთში არის სკოლის დირექტორი, ემსახურება ბავშვთა აღზრდა-განათლებას.

ამირან თოიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ანსამბლ „ელესას“ განმტკიცებაში. ანსამბლს, პირველი ხელმძღვანელის ლადიკო ერქომაივილის შემდეგ, სათავეში ამირანი ჩაუდგა, მანვე გაიყვანა „ელესა“ ამერიკაში.

ამირან თოიძე 80 წლის ასაკში გარდაიცვალა უეცრად. მან მთელი თავისი ცხოვრება ხელოვნების და ოჯახის სიყვარულში გაატარა. დატოვა შესანიშნავი შთამომავლობა, რომელიც, თამამად შეიძლება ბატონი ამირანის და მისი წინაპრების ღირსეული საქმის ღირსეულ გამგრძელებლებად.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი სოფლის კაცური კაცის სპეტაკი სული.

ტრისტან სიხარულიძე,
ბატონი ამირანის უმცროსი მეგობარი.

საქართველოს VI საკლუბო ჩემპიონატზე ჭადრაკში

6 აპრილს სტარტი აიღო საქართველოს VI საკლუბო ჩემპიონატმა ჭადრაკში, რომელშიც 20 კლუბი მონაწილეობს.კლუბები დაყოფილია ორ-აღმოსავლეთ და დას-ავლეთ ზონად, თითოეულში 10-10 გუნდი ასპარეზობს. .აღსანიშნავია, რომ გურიის რეგიონი ჩემპიონატში ორი გუნდით(!) მონაწილეობს: -ოზურგეთის საჭადრაკო კლუბი „გურია“ და ლანჩხუთის „ლანჩხუთი". ოზურგეთელები უკვე მეოთხედ მონაწილეობს ჩემპიონატში და ერთხელ საპრიზო ადგილზეც გავიდა,პირველ და მეორე ტურში ოზურგეთელები სტუმრად ბათუმის „ნონას" ძლიერ გუნდს ხვდებოდნენ. ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, რომ ბათუმელები სამჯერ იყვნენ საქართველოს და სამ ჯერ ევროპის. ჩემპიონები. თითქოს ოზურგეთელებს წარმატების შანსი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რვა დაფაზე მიმდინარე მა-ტჩის როგორც პირველი, ისე მეორე ტური ფრედ 4-4 (ჯამში 8-8) დამთავრდა და კლუბებმა 2-2- ქულა დაიწერეს.. ოზურგეთის "გურიას" მოგებაც თავისუფლად შეეძლო რომ არა დასანანად დაკარგული ქულები, ჯერ იყო ჩვენი კლუბის წევრს მშობელმა თამაშის დროს დაურეკა და ჩართული ტელეფონის გამო წაგება ჩაეთვალეს. .მეორე ის იყო, რომ პირველ დაფაზე მოასპარეზე დავით ცეცხლაძემ ძალიან ძლიერ ითამაშა 2200 რეიტინგის მქონე მეტოქესთან, რომელთანაც აშკარად მოგებული პარტია ქონდა და დროშიც სჯობდა მას, შეცდომა დაუშვა და წააგო. ოზურგეთელებს ყველაზე მეტი ქულა შესძინა თამარ ასათიანმა და თორნიკე მახარაძემ 2-2 და ანა მეგრელაძემ და თენგიზ თოიძემ 1,5-1,5 ქულა.

ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა:

ბათუმის "ნონა" - ოზურგეთის "გურია" 8-8;

ქუთაისის "ქუთაისი" -ლანჩ-უთის "ლანჩხუთი" 14-2;

ზუგდიდის „დადიანი"-ამბროლაურის „ამბროლაური“ 12-6;

ბაღდადის „ბაღდადი" -სამტრედიის „სამტრედია"11,5-4,5 ;

ფოთის „ნანა" -ხონის „ხონი" 11-5

მორიგ ტუში ოზურგეთის „გურია“ სახლში ლანჩხუთის „ლანჩხუთს მასპინძლობს.

ოზურგეთელი მოჭიდავეები შინ 7 მედლით დაბრუნდნენ!

5-7 აპრილს რუსთავში ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში 15 წლამდელთა შორის საქართველოს პირველობა გაიმართა.

ოზურგეთელმა ფალავნებმა შინ 7 მედლის, მათ შორის - სამი ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს წამოღება შესძლეს.

38, 41, 75 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ: **ლუკა ჯავახაძე, ლუკა ბენდელიანი, ნიკოლოზ შიუკაშვილი** (მწვრთნელი - კახაბერ აბაშიძე)

მეორე ადგილი: **ნოდარი გიორგაძე** 45კგ. (მწვრთნელები - ძმები ზურაბიანები);**გუგა ბოლქვაძე** 85-კგ. (მწვრთნელი - თენგიზ ლაბაძე).

მესამე ადგილი: **ავთო მამალაძე** 52 კგ. (მწვრთნელი - ბექა ჩოფლიანი); **ნიკა ღლონტი** 85 კგ. (მწვრთნელი - გურამ მაჭარაშვილი).

პარა-მკლავჭიდის ჩემპიონატზე

საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით საქართველოს მკლავჭოდისა და პარა- მკლავჭიდის ჩემპიონატი ჩატარდა. ჩემპიონატში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა მკლავჭიდის სექციის სპორტსმენებმა, პარაოლიმპიელებმა, სხვადასხვა წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზეს :

მესამე ადგილებზე გავიდნენ:

ფირუზ მარკოიძე - 50კგ; **დავით ჩხაიძე** - 60 კგ; **გიორგი ვადაჭკორია** - 60 კგ; **ავთანდილ კვაჭანტირაძე** - 80 კგ. ვეტერანთა შორის იასპარეზა გუნდის მწვრთნელმა, **გიორგი რუსიეშვილმა** და მან მეორე ადგილის აღება შესძლო.

7 დღის ამინდის პროგნოზი

15 აპრილი	16 აპრილი	17 აპრილი	18 აპრილი	19 აპრილი	20 აპრილი	21 აპრილი
მზე, ღრუბელი, +10+21	მცირე წვიმა +9+18	მცირე წვიმა +5+10	ღრუბელი, +3+12	ღრუბელი, +3+7	მცირე წვიმა +2+7	მცირე წვიმა +3+8
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა